საქართველო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

12-07-4-201802261553
26/02/2018

N 12

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**
**დადგენილება №12**
**2018 წლის 23 თებერვალი**
**ქ. ლანჩხუთი**

**„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ პუნქტის „გ.ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1.** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილების (ვებგვერდი, 27/12/2017; სარეგისტრაციო კოდი: 190040000.35.112.016320) პირველი მუხლით დამტკიცებულ დანართში „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობებში“ შევიდეს ცვლილება, კერძოდ, „მერის პირველი მოადგილის“ თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს თვეში 1900 ლარის ოდენობით, ხოლო „მერის მოადგილის“ თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს თვეში 1700 ლარის ოდენობით და გრაფა „ხელმძღვანელობა“ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

| თანამდებობათა დასახელება | საშტატო რიცხოვნობა | სარგო (ლარი) |
|---|---|---|
| **ხელმძღვანელობა** | **3** | |
| მერი | 1 | 2650 |
| მერის პირველი მოადგილე | 1 | 1900 |
| მერის მოადგილე | 1 | 1700 |

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს 2018 წლის 1 მარტიდან.

ბესიკ ტაბიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო